სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაციხის საჯარო სკოლის
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

ჭიათურა, სოფელი ქვაციხე 2019 წლის 25 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. დავით ყიფშიძე - ქვაციხის საჯარო სკოლის დირექტორი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
2. მურმან სარალიძე - ქვაციხის საჯარო სკოლის ბუღალტერი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
3. ზაზა გამეზარდაშვილი - ქვაციხის საჯარო სკოლის მასწავლებელი, კომისიის წევრი

4. ბესარიონ ბედინაშვილი - ქვაციხის საჯარო სკოლის მასწავლებელი, აპარატის წევრი
5. დავით ბიწაძე - ქვაციხის საჯარო სკოლის მასწავლებელი, აპარატის წევრი

დღის წესრიგი

ქვაციხის საჯარო სკოლის მიერ, სკოლის შენობაში არსებული საკლასო ოთახების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების პროექტის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს

სატენდერო კომისიის აპარატმა სხდომაზე დამსწრე პირებს წარუდგინა სკოლის შენობაში არსებული საკლასო ოთახების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების პროექტი

განხილვა

სატენდერო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი პროექტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი დაფარული ვაჭრობის მონაცემებით, დამატებითი რაუნდების და დღგ-ს გარეშე - სავარაუდო ღირებულება 8359 ლარი; სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვროს 35 კალენდარული დღე.

კომისიამ ასევე განიხილა სხვა მოთხოვნები ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირთა მიმართ, რომელთა შესახებ ინფორმაცია ასახულია თანდართულ სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების პროექტში.

სატენდერო კომისია ერთხმად დაეთანხმა წარმოდგენილ პირობებს და მიზანშეწონილად მიიჩნია თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

სატენდერო კომისიამ გადაწყვიტა

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი, სკოლის შენობაში არსებული საკლასო ოთახების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების პროექტი და გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი ოქმზე თანდართული დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო პირობების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირება არაუგვიანეს 25 სექტემბრისა.

სატენდერო კომისია

დავით ყიფშიძე

მურმან სარალიძე

ზაზა გამეზარდაშვილი

სატენდერო კომისიის აპარატი

ბესარიონ ბედინაშვილი

დავით ბიწაძე

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

შენობის მოწყობის სხვადასხვა სამუშაოები - საკლასო ოთახების რეაბილიტაცია

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

სატენდერო პირობის 1.3 პუნქტში არსებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

დეფექტური აქტი - ხარჯთაღრიცხვა.xlsx

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 კალენდარული დღე

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვაციხის საჯარო სკოლა

1.6 მიუთითეთ შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა

შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანართს და შესაბამისად მის განუყოფელ ნაწილს.

1. სახურავი - 10 წელი ქანობიანი გადახურვა, 5 წელი რბილი გადახურვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. კარ-ფანჯრები - მეტალოპლასტმასი-5 წელი, საკეტები-1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები -10 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. შენობის შიდა მოპირკეთება - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. ფასადის და სარინელის სამუშოები -5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. სამღებრო სამუშაოები - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. სანტექნიკა და ელექტროობა - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. გათბობის სისტემა - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. საქვაბე მეურნეობის აგრეგატები - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
10. იატაკი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
11. კონსტრუქციები (ახალი შენობის მშენებლობის შემთხვევაში) - 20 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
12. წყალსადენისა და კანალიზაციის გარე ქსელი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
13. ღობე - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
14. სხვა დანარჩენი - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
15. ლიფტი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
16. ლიფტის საექსპლოატაციო ვადა- 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

17. ამწე მოწყობილობა 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა: პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს თანხმობა საგარანტიო მოთხოვნაზე.

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

1.1 2018 წლის პირველი იანვრიდან მოცემული ტენდერის გამოცხადების დღემდე, პრეტენდენტის მიერ ფაქტობრივად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების ღირებულებების ჯამი უნდა იყოს არანაკლებ 25000 ლარისა.

2. პრეტენდენტს ერთი შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა.

3. ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებს მიეკუთვნება: შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები .

4. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი N3–ის შესაბამისად.

4.1 პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს, საანგარიშო პერიოდში ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების დამადასტურებელი, მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები: ხელშეკრულებები და მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტები, ფორმა №2-ები; სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში თუ მოცემული დოკუმენტები ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში საკმარისია შესაბამისი განცხადების ნომრ(ებ)ის (SPA, NAT, DAP, CMR) წარმოდგენა.

დანართი N3 - გამოცდილება.pdf

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

კი

2.5.1 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან (გეგმა-გრაფიკი) დაკავშირებული მოთხოვნები

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკი (დანართი N6), რომელიც იქნება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

დანართი N6 - გრაფიკი - 35.pdf

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

კი

2.7.1 მიუთითეთ ლიცენზიასთან, სტანდარტებთან, აკრედიტაციასთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები

სამუშაოები უნდა იყოს შესრულებული სახარჯთაღრიცხვო და საქართველოში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაოს შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს.

შენიშვნა: პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს თანხმობა ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე.

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

კი

2.8.1 მიუთითეთ ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. პრეტენდენტი ვალდებულია წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა;
2. ქვეკონტრაქტორი კომპანია ან კომპანიები არ უნდა იყვნენ რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

კი

3.1.1 მიუთითეთ ნიმუშთან ან/და ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებული მოთხოვნები

პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული, გამოსაყენებელი მასალების (საღებავი, ლამინატი და სანათები) ნიმუშები შესაბამისი სერთიფიკატებით.

3.1.2 მიუთითეთ ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღის ვადაში

3.1.3 მიუთითეთ ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ადგილი

ჭიათურა, სოფ. ქვაციხე - სსიპ ქვაციხის საჯარო სკოლის შენობა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-თ ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომელშიც ტექსტობრივად მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, 2017 წლის 26 სექტემბრის საქართველოს მთავრობის N439 დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკის“ მოთხოვნებთან დასკვნის შესაბამისობა. წარმოდგენილი დასკვნით უნდა დასტურდებოდეს პრეტენდენტის მიერ ატვირთულ სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში (სატენდერო წინადადების საბოლოო ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (შესაბამისი ტენდერის უნიკალური ნომრის მითითებით)) დაფიქსირებული ერთეულის ფასებით (თითოეულ ერთეულთან მიმართებით) და აგრეთვე ჯამური ღირებულებით ამავე ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა. ექსპერტიზის დასკვნას თან უნდა ერთვოდეს სატენდერო და რესურსული მეთოდით შედგენილი ხარჯთაღრიცხვები.

ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 28-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული პირობები.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
2. ანგარიშსწორება განხორციელდება სრულად დასრულებულ სამუშაოებზე.
3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურების და კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

შენიშვნა: სამუშაოების სრულად დასრულების შემდგომ შემსყიდველი ორგანიზაცია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს ექსპერტიზის ჩატარებას შესრულებულ სამუშაოებზე - ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად მომზადდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ/ებ/ის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

მურმანი სარალიძე, 598346694, Kvatsikhe@mes.gov.ge

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

2. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია, აუცილებელია წარმოდგენილ იქნას პირის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება). იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი, პრეტენდენტმა სისტემაში უნდა წარმოადგინოს ხელისმომწერი პირის ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა. დამატებით პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა ექსელის Excel და PDF ფაილის სახით. PDF ფაილი უნდა დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით/კვალიფიციური შტამპით.

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

5. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

6. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით, დღგ-ს გარდა.

7. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე), თუ არ იქნება წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს, ასევე, თუ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ღირებულება აღემატება სისტემაში პრეტენდენტის მიერ საბოლოოდ დაფიქსირებულ ფასს.

8. პრეტენდენტი ვალდებულია, მის მიერ შექმნილი, წინადადების სახით წარსადგენი დოკუმენტები (მაგ., ფასების ცხრილი, ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ, საგარანტიო პირობები და ა.შ.). დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით/კვალიფიციური შტამპით. აღნიშნულისთვის პრეტენდენტს აქვს ორი შესაძლო გზა:

• ყველა PDF დოკუმენტი სათითაოდ დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით;

• გააერთიანოს წარსადგენი დოკუმენტები ერთ PDF ფაილად, ხოლო თუ ერთი ფაილის ზომა აღემატება 20 მეგაბაიტს – რამდენიმე PDF ფაილად და ის/ისინი დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი